

## შეთანხმება

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „GGEDC“-სა და შპს „ენერჯია“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი

31 ივლისი, 2015 წ.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ,

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ (შემდგომში „GEDF“) ს/კ 404391975 (შერწყმის შედეგად „GGEDC“-ს სამართალმემკვიდრე), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბეჟუაშვილის (პ/ნ 01032003266) მიერ, და

შპს „ენერჯია“ (შემდგომში „კომპანია“) ს/კ: 401950037, წარმოდგენილი მისი დირექტორის გაიოზ უგრელიძის (პ/ნ 01010004138) მიერ,

დებენ წინამდებარე შეთანხმებას მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „GGEDC“-სა და კომპანიას შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმში (შემდგომში „მემორანდუმი“) ცვლილების შეტანის თაობაზე:

1. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„3.3. ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის სრული ოდენობის რეალიზაცია განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად.“
2. შეიცვალოს მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
“3.4 კომპანია ვალდებულია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯიის სრული რაოდენობის რეალიზაცია განხორციელდეს „ესკო“-ზე წინასწარ გაფორმებული ელექტროენერჯიის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით და ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, „ესკო“ იღებს ვალდებულებას, აღნიშნული 10 წლის განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამომუშავებული და ამ პუნქტის შესაბამისად

კომპანიის მიერ წინასწარ გაცხადებული ელექტროენერჯის რაოდენობა, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. „ესკო“-ს მიერ ამ პუნქტით და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ელექტროენერჯის ფასი თითოეული წლის ოქტომბრიდან მარტის თვის ჩათვლით განისაზღვრება 6,5 აშშ ცენტის ოდენობით, ხოლო აპრილიდან სექტემბრის თვის ჩათვლით 5 აშშ ცენტის ოდენობით. წინამდებარე 3.4 პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებაზე არ ვრცელდება ამ მემორანდუმის 5.2 პუნქტის მოქმედება.”

3. მხარეები ადასტურებენ, რომ შესრულდა მემორანდუმის მე-3 მუხლის 3.5 და 3.6 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ მემორანდუმის მხარე - GEDF ამოღებულ იქნეს მემორანდუმიდან.
4. მემორანდუმის სხვა მუხლები და დებულებები დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
6. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მასთან ერთად. იგი შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად.
7. ამ შეთანხმების ფარგლებში წარმოშობილი ნებისმიერი დავა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.
8. მხარეთა ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორი“


ვახტანგ ამბოკაძე

სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“

გიორგი ბეჟუაშვილი

შპს „ენერჯია“

გაიონი უგრელიძე




# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1327 2015 წლის 23 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „GGEDC“-სა და შპს „ენერჯიას“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „GGEDC“-სა და შპს „ენერჯიას“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილებების შეტანის თაობაზე დასადები შეთანხმების პროექტი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ვახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ღარიბაშვილი

113258



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010145800446015

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a. Gorgasali str. 0114, Tbilisi. Tel: 2 40 51 48 2 40 58 36 E-MAIL: info@justice.gov.ge

№4088

25 / მაისი / 2015 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის  
შოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 15 მაისის №04/1844 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „GGEDC“-სა და შპს „ენერჯიას“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმსა და საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ყაზბეგი ჰესს“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმებების განახლებული პროექტები, რომლებთან დაკავშირებით გაფრთხილებით, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. დხავიფაშვიძე

მინისტრის შოადგილე

გომა ლორთქიფანიძე




ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, მარტაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baretashvili St., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/535  
20/05/2015

535-01-2-201505201643



თანხმობა ხელმოსაწერი ურთიერთგაგების  
მემორანდუმში ცვლილებების შეტანის  
თაობაზე შეთანხმების პროექტებთან  
დაკავშირებით

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 15 მაისის #04/1843 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ენერჯიას“ შორის 2011 წლის 17 მაისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში, საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს 'GGEDC'-სა და შპს 'ენერჯიას' შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმსა და საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „ყაზბეგო ჰესს“ შორის 2012 წლის 13 ივლისს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE


სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია: თბილისის საგანგებო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036

ცვლილებების შეტანის თაობაზე შეთანხმებების განახლებული პროექტები,  
რომლებთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგი აშოკაძე



გენერალური დირექტორი